



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამბკიკეპ“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

[Handwritten signature]

25 სექტემბერი 2019 წელი

N 54/36

ეგზ.: N1

შპს „ო. ჩხოვაძის სახელობის ინვალიდთა და
ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო
კლინიკური ცენტრის“ 2015-2018 წლების
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

სარჩევი	
გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	9
აუდიტის მასშტაბი	9
აუდიტის კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	10
აუდიტის მეთოდოლოგია	10
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
აუდიტის მიგნებები.....	11
ხარჯები	11
წმინდა მოგების უნებართვოდ განკარგვა	11
ანგარიშსწორება ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე	13
დაუსაბუთებელი პრემია-დანამატები	13
სახელმწიფო შესყიდვები	15
შეუსაბამო შესყიდვის საშუალების გამოყენება	15
საოპერაციო მობილური რენტგენის აპარატის შესყიდვის ნაკლოვანებები	18
დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია	19
აქტივების მართვა.....	21
დანაკლისები	21
სარგებლობის უფლებით გაცემული უძრავი ქონება	22
საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები...25	
შეუსაბამოებები მოგების გადასახადის დეკლარაციასა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის	
არადეკლარირებული მოგების გადასახადი	25
დაუბეგრავი შემოსავლები	25
ფინანსური ანგარიშგება	26
სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელთაც საფუძვლად არ უდევს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენის ფაქტი.....	26
შეუსაბამოებები სააღრიცხვო მონაცემებს შორის	27

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კლინიკური ცენტრი – შპს „ო. ჩხოვაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი“.

პარტნიორი – 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით, ხოლო 2018 წლის 19 ნოემბრიდან – შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის სახით.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამოებები

წმინდა მოგების გამოყენება

- კლინიკური ცენტრის მიერ 1,314,680.35 ლარის წმინდა მოგება გაიხარჯა პარტნიორის თანხმობისა და მთავრობის დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, რაც გარკვეულ შემთხვევებში განპირობებული იყო კლინიკური ცენტრის მიერ აღნიშნული კონტროლის მექანიზმების იგნორირებით, ხოლო რიც შემთხვევებში – პარტნიორის, როგორც მოცემული პროცესის კონტროლის სისტემის, მნიშვნელოვანი რგოლის არაკონსტრუქციულობით. არსებული წესის მოთხოვნათა დარღვევით, წმინდა მოგების განკარგვა წარმოშობს სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის და მისი არაპრიორიტეტული მიმართულებით გამოყენების მაღალ რისკებს.

შრომის ანაზღაურება

- 2015-2018 წლებში, დასაბუთების გარეშე, კლინიკური ცენტრის თანამშრომლებზე ჯამურად გაცემულია 279,193.71 ლარის სახელფასო დანამატი და 13,987.50 ლარის პრემია. მათ შორის, დირექტორისთვის დანამატის სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 56,000.00 ლარი. კლინიკურმა ცენტრმა ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა ზეგანაკვეთურად მუშაობის და ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. შესაბამისად, არ დასტურდება პერსონალზე სახელფასო დანამატისა და პრემიის გაცემის მართლზომიერება და შესაბამისობა.

სახელმწიფო შესყიდვები

- შეუსაბამო შესყიდვის საშუალების გამოყენებით, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, 17 მომწოდებლისგან შეძენილ იქნა 291,284.68 ლარის ღირებულების საქონელი/მომსახურება. ამასთანავე, კლინიკურმა ცენტრმა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე არ ატვირთა გამარტივებული წესით გაფორმებული 62,670.20 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 24 ხელშეკრულება, რითაც შეიზღუდა შესყიდვის საშუალებების შერჩევისათვის კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ყოველივე აღნიშნულმა გაზარდა საჯარო სახსრების არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვის რისკები, რაც გამოვლინდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად საქონლის/მომსახურების შესყიდვის ფაქტებში.

- საოპერაციო მობილური რენტგენის აპარატის შესაძენად 2015 წელს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას, შესყიდვის საგნის სპეციფიკაციის კონკრეტულ მოდელზე მორგებით შეიქმნა უკონკურენტო გარემო, რამაც განაპირობა ტენდერში მონაწილე ერთადერთი, სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების წარმომდგენი პირის გამარჯვება.
- სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში უმცირესი ფასის სატენდერო წინადადების წარმომდგენი პრეტენდენტის არასამართლიანმა დისკვალიფიკაციამ და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანმიმართულმა კორექტირებამ შექმნა საჯარო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

აქტივების მართვა

- შესამოწმებელ პერიოდში კლინიკური ცენტრის მიერ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. პარტნიორის მხრიდან აღნიშნული ნორმატიული მოთხოვნის დაცვაზე კონტროლი არ განხორციელებულა. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერების პროცედურის შედეგად გამოვლინდა 12 ერთეული ძირითადი აქტივის დანაკლისი, (მათ შორის: ლეპტოპი, მობილური ტელეფონი, ციფრული აპარატი, ტელევიზორი) ნარჩენი ღირებულებით – 2,265.00 ლარი და რენტგენის აპარატი TURDF-19, საწყისი ღირებულებით – 4,420.00 ლარი.
- საწყისი საიჯარო ქირის არათანამიმდევრულად, საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატურად და აუქციონის გამოცხადების დროს მისი არასწორად (შეცდომით) განსაზღვრის შედეგად, მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 9,658.00 ლარი.

ფინანსური ანგარიშგება

- 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბალანსში საწყისი ნაშთების კორექტირება განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის საფუძვლების მოთხოვნის შეუსაბამოდ. მიმდინარე ვალდებულებების და გადასახდელი დივიდენდების შემცირების ხარჯზე, გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გაიზარდა 140,334.00 ლარით. შედეგად, მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ბალანსში დაფიქსირდა გაუნაწილებელი მოგების – 458,183.00 ლარის, მიმდინარე ვალდებულებების – 42,844.00 ლარის, ხოლო გადასახდელი დივიდენდების – ნულოვანი საწყისი ნაშთები. აღნიშნულ კორექტირებებს საფუძვლად არ ედო ეკონომიკური მოვლენის განხორციელების ფაქტი.
- ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი 2018 წლის საბოლოო ნაშთები: მოკლევადიანი მოთხოვნები – 215,564.29 ლარით, სასაქონლო-მატერიალური

მარაგები – 94,892.00 ლარით და ძირითადი საშუალებები – 697,153.39 ლარით. რაც შეეხება მოკლევადიანი ვალდებულებების საბოლოო ნაშთს, ის 88,708.81 ლარითაა გაზრდილი.

- მოგება-ზარალის ანგარიშგების ბუღალტრულ ანგარიშებზე წლის საბოლოო ნაშთების არასწორად აღრიცხვის შედეგად, შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის ასახული წმინდა მოგება. კერძოდ, შესამოწმებელ პერიოდში კლინიკური ცენტრის შემოსავლები აღრიცხულია 170,678.27 ლარით ნაკლები თანხით, ხოლო მთლიანი ხარჯები გაზრდილია 86,607.54 ლარით. შედეგად, გაუნაწილებელი მოგება შემცირებულია 96,350.60 ლარით.

სააღრიცხვო ჩანაწერების მანიპულირებით შეიქმნა გადასახდელი დივიდენდების სახით სახელმწიფოს წინაშე არსებული და სხვა მიმდინარე დავალიანების შემცირების საფუძველი და ხელოვნურად გაიზარდა გაუნაწილებელი მოგება. ამასთანავე, გაიზარდა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით პარტნიორის განზრახ შეცდომაში შეყვანის რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

კლინიკურ ცენტრს და პარტნიორს

რეკომენდაცია N1.

- საწარმოს ხელმძღვანელობას, პარტნიორს და კომისიას შორის კონსტრუქციული კომუნიკაციით უზრუნველყოფილ იქნეს დაგროვილი წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპერატიულობა და ეფექტური მართვა;
- პარტნიორის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობის ამაღლებით უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული წმინდა მოგების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N2.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი შრომის ანაზღაურების (დანამატი, პრემია) გაცემის საფუძველების იდენტიფიცირების/ შეფასების მიზნით, დაინერგოს სამუშაო დროის აღრიცხვისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის დამატებითი შრომის ანაზღაურების საკითხი შეთანხმდეს პარტნიორთან.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N3.

- ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ და დანერგილ იქნეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ სამართლიან, არადისკრიმინაციულ და თანაბარ მიდგომას;
- შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის და მასზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვა.

კლინიკურ ცენტრს და პარტნიორს

რეკომენდაცია N4.

აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობის და მათ დაცულობაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და დაინერგოს ეფექტური კონტროლის საშუალებები, სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩათვლით. ამასთანავე, გამოვლენილი აქტივების დანაკლისების მიხედვით დადგინდეს მატერიალური პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N5.

ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფო ქონების რაციონალური გამოყენების და ადეკვატური ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით:

- არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლების გზით, სასყიდლიან სარგებლობაში ქონების გადაცემა განხორციელდეს საბაზრო პირობების შესაბამისად განსაზღვრული საფასურის საფუძველზე;
- საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მოიჯარის მიერ უნებართვოდ აშენებულ შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ იქნეს არსებული ფაქტობრივი გარემოების – შესაბამის სამოქალაქო სამართლებრივ ფორმაში მოქცევა.

კლინიკურ ცენტრსა და პარტნიორს

რეკომენდაცია N6.

შესწორდეს ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული უზუსტობები. დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, რათა ბუღალტრული ოპერაციების აღრიცხვა, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კლინიკური ცენტრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კლინიკური ცენტრი ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კლინიკური ცენტრის მიერ განხორციელებული ხარჯვითი და არაფინანსური აქტივებით ოპერაციები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- მიღებული შემოსავლები;
- გაწეული ხარჯები;
- აქტივების მართვა;
- განხორციელებული შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა კლინიკური ცენტრის მიერ 2015-2018 წლებში განხორციელებული საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილება „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულება;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ის შემთხვევაში, 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებებისა და ბიზნესგეგმების პროექტების შემუშავების, წარმოდგენისა, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ“

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანება „სახელმწიფო ქონების განკარგვისას სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის N1-1/1732 ბრძანება „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვით ორგანიზაციის ანგარიშების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- შპს „ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის“ წესდება;
- შპს „ო. ჩხოზაძის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სარეაბილიტაციო-კლინიკური ცენტრის“ 2017 წლის 3 იანვრის შინაგანაწესი.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია – რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან და ფოკუს-ჯგუფებთან;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

კლინიკური ცენტრი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოა. კომპანიის წილის 100%-ს ფლობს საქართველოს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას 2018 წლის 15 ნოემბრამდე ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო მას შემდეგ, არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაეცა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“.

კლინიკური ცენტრი სამედიცინო პროფილის ლიცენზირებული საწარმოა, რომლის ძირითადი საქმიანობაა მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა. საწარმოს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორების ინტერესებს. მისი ძირითადი მიზანია მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შედეგად.

საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოებია: პარტნიორთა კრება და დირექტორი. კლინიკური ცენტრის დირექტორი მართავს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

აუდიტის მიგნებები

ხარჯები

წმინდა მოგების უნებართვოდ განკარგვა

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მთავრობის დადგენილებით შექმნილი კომისია.¹ იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი წინადადება მოიცავს საწარმოს მიერ მიღებული წმინდა მოგების ან წმინდა მოგების ნაწილის საწარმოს განკარგულებაში დატოვების აუცილებლობას, ის უნდა შეიცავდეს საწარმოს განკარგულებაში დასატოვებელი წმინდა მოგების ან მისი ნაწილის მიზნობრიობის დასაბუთებას და მისი ხარჯვის გეგმას.² ამასთანავე, საწარმოს (ჩვეულებრივი საქმიანობის გარდა) ქონების შეძენაზე, გასხვისებასა და „განკარგვაზე“ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორი (პარტნიორთა კრება).³

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 26¹ მუხლის პირველი პუნქტი.

² საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის N174 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის დებულების“ 6¹ მუხლი.

³ სსიპ – საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ 2006 წლის 08 ივნისის დამტკიცებული კლინიკური ცენტრის წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2015-2018 წლებში აკუმულირებული 2,271,448.42 ლარის წმინდა მოგებიდან კლინიკური ცენტრის მიერ რეინვესტირდა (კაპიტალიზდა) 1,946,085.73 ლარი. მათ შორის, პარტნიორის თანხმობისა და მთავრობის დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისიის გადაწყვეტილების გარეშე, კაპიტალიზებულმა თანხამ შეადგინა 1,314,681.70 ლარი. კერძოდ, კლინიკური ცენტრის მიერ მოქმედი წესის გაუთვალისწინებლად გახარჯულია შემდეგი თანხები

ცხრილი N1. უნებართვოდ გამოყენებული წმინდა მოგება

წელი	ინვენტარი	რემონტი	ჯამი (2+3)
1	2	3	4
2015	102,352.40	179,607.84	281,960.24
2016	33,154.50	70,589.43	103,743.93
2017	529,634.63	83,407.79	613,042.42
2018	67,721.00	248,214.11	315,935.11
ჯამი:	732,862.53	581,819.17	1,314,681.70

2015-2018 წლებში პარტნიორის შესაბამისი თანხმობის გარეშე კაპიტალურ რემონტზე (საოპერაციო ბლოკის და ქირურგიული განყოფილების ინტენსიური ბლოკის სრული რეაბილიტაცია, სავენტილაციო სისტემის მონტაჟი, ადმინისტრაციულ შენობაში მისაღების რემონტი და სხვა) გაიხარჯა 581,819.17 ლარი, ხოლო ინვენტარის (სამედიცინო აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვ.) შეძენაზე – 732,862.53 ლარი. აქედან 604,586.18 ლარის ღირებულების ხარჯის გაწევაზე თანხმობის მიღების მიზნით, კლინიკურ ცენტრს პარტნიორისათვის საერთოდ არ მიუმართავს, ხოლო – 710,095.52 ლარის წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე, კლინიკურმა ცენტრმა არერთგზის მიმართა⁴ პარტნიორს. აღნიშნულს ის ასაბუთებდა გრძელვადიანი აქტივების რეაბილიტაციის საჭიროებითა და ინფექციების კონტროლის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტისა და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ კლინიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობით, თუმცა, პარტნიორს და კომისიას აღნიშნული საკითხი არ განუხილავს და შესაბამისად, არც გადაწყვეტილება მიუღია.

დასკვნა

კლინიკური ცენტრის მიერ 1,314,680.35 ლარის წმინდა მოგება გაიხარჯა პარტნიორის თანხმობისა და მთავრობის დადგენილებით შექმნილი სპეციალური კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, რაც გარკვეულ შემთხვევებში განპირობებული იყო კლინიკური ცენტრის მიერ აღნიშნული კონტროლის მექანიზმების იგნორირებით, ხოლო რიგ შემთხვევებში – პარტნიორის, როგორც მოცემული პროცესის კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლის უმოქმედობით და არაკონსტრუქციულობით. არსებული წესის მოთხოვნათა დარღვევით წმინდა მოგების განკარგვა წარმოშობს საჯარო სახსრების

⁴ კლინიკური ცენტრის მიერ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილი 2017 წლის 15 მაისის N1/45, 2017 წლის 07 ივნისის N1/58 და 2018 წლის 24 მაისის N1/81 წერილები.

არამიზნობრივი ხარჯვის და მისი არაპრიორიტეტული მიმართულებით გამოყენების რისკებს.

კლინიკურ ცენტრს და პარტნიორს

რეკომენდაცია N1.

- საწარმოს ხელმძღვანელობას, პარტნიორს და კომისიას შორის კონსტრუქციული კომუნიკაციით უზრუნველყოფილ იქნეს დაგროვილი წმინდა მოგების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპერატიულობა და ეფექტური მართვა;
- პარტნიორის მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობის ამაღლებით უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოს განკარგულებაში დატოვებული წმინდა მოგების მიზნობრივი გამოყენების მონიტორინგი.

ანგარიშსწორება ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე

კლინიკური ცენტრი, 2015-2017 წლებში, Internationaler Hilfsfonds E.V. -ს საქართველოს წარმომადგენლობასთან, ყოველწლიურად გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, იღებდა ჰუმანიტარულ ტვირთს.⁵ ხელშეკრულების თანახმად, კლინიკური ცენტრი ვალდებული იყო, წარმომადგენლობის საბანკო ანგარიშზე, ტვირთის მიღებამდე, გადაერიცხა ე.წ. საქველმოქმედო ღონისძიებათა ორგანიზების „შესაწევარი“.⁶ 2015-2017 წლებში კლინიკური ცენტრის მიერ „შესაწევრის“ სახით გადახდილია 68,182.92 ლარი.

აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტები. უფლებამოსილი პირის განმარტებით, „შესაწევრის“ ოდენობა განისაზღვრებოდა კლინიკური ცენტრის დირექტორის მიერ წარმომადგენლობის ბუღალტერთან სატელეფონო კომუნიკაციის დამყარების შედეგად.

დასკვნა

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კლინიკური ცენტრის მიერ ე.წ. „შესაწირავი“ გადახდილია ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, რამაც გაზარდა არარეალური მომსახურების ანაზღაურების და აქედან გამომდინარე, თაღლითური გარიგების შესაძლებლობა.

დაუსაბუთებელი პრემია-დანამატები

ორგანიზაციის მიერ თანამშრომელზე სახელფასო დანამატი გაიცემა არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში შესრულებული ზეგანაკვეთური

⁵ მეორადი საწოლები, მაგიდები, სკამები და სხვა ინვენტარი.

⁶ ტვირთის გერმანიიდან საქართველოში ტრანსპორტირების, წინასწარი დათვალიერების, განბაჟების, გადმოტვირთვის, საწყობში შენახვა-დაცვის, განაწილების და სხვა ხარჯები.

მუშაობისთვის.⁷ ამასთანავე, თანამშრომელი შესაძლებელია წახალისდეს სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებული შედეგების საფუძველზე, შესაბამისად, დამატებითი ანაზღაურება უნდა მოიცავდეს ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულებას, რომლის შედეგების შესაბამისად, თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში გამოითვლება დამატებითი ანაზღაურება.⁸

2015-2018 წლებში დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, კლინიკური ცენტრის თანამშრომლებზე გაცემულია 337,268.71 ლარის სახელფასო დანამატი და 110,987.50 ლარის პრემია,⁹ სულ: 448,256.21 ლარი.

დადგინდა, რომ კლინიკური ცენტრის მიერ შესამოწმებელ პერიოდში არ იყო დანერგილი სამუშაო დროის აღრიცხვის მექანიზმი და არ წარმოებდა ტაბელი, რის გამოც, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები.

2015-2018 წლებში, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, კლინიკური ცენტრის თანამშრომლებზე ჯამურად გაცემულია 279,193.71 ლარის სახელფასო დანამატი. 2016 წლიდან კლინიკური ცენტრის დირექტორმა წინასწარ, წლის დასაწყისში, პარტნიორთან შეუთანხმებლად,¹⁰ დაინიშნა ყოველთვიური დანამატი თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და 2016-2018 წლებში ამ საფუძველით ჯამში მიიღო 56,000.00 ლარის დანამატი, რაც კლინიკური ცენტრის მიერ დასაბუთების გარეშე გაცემული დანამატის 20%-ს შეადგენს.

რიგ შემთხვევებში, პრემიის გაცემის საფუძველებში აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას. კერძოდ, 2015 და 2018 წლებში 14 პირზე გაცემულია პრემია 13,987.50 ლარის ოდენობით, რაც დასაბუთდა აღნიშნული პირების ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობით, მაშინ როდესაც, ამ პერიოდში კლინიკურ ცენტრში ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა.

დასკვნა

არ დასტურდება შესამოწმებელ პერიოდში კლინიკური ცენტრის პერსონალზე 279,194.00 ლარის სახელფასო დანამატისა და 13,987.00 ლარის პრემიის გაცემის მართლზომიერება და შესაბამისობა

⁷ „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 17.

⁸ შპს „ო. ჩხობამის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის“ 2016-2017 წლების შინაგანაწესი.

⁹ შესამოწმებელ პერიოდში კლინიკურ ცენტრში თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგოს სახით გაცემული შრომის ანაზღაურების ხარჯმა სულ 8,396.844 ლარი შეადგინა.

¹⁰ შპს „ო. ჩხობამის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის“ დირექტორის 2016 წლის 05 იანვრის N 1/5 ბრძანება.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N2.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი შრომის ანაზღაურების (დანამატი, პრემია) გაცემის საფუძვლების იდენტიფიცირების / შეფასების მიზნით, დაინერგოს სამუშაო დროის აღრიცხვისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა. საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის დამატებითი შრომის ანაზღაურების საკითხი შეთანხმდეს პარტნიორთან.

სახელმწიფო შესყიდვები

2015-2018 წლებში კლინიკურმა ცენტრმა 298 ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა 5,464,242.02 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის, ელექტრონული ტენდერით – 4,978,050.76 ლარის, კონსოლიდირებული ტენდერით – 55,246.81 ლარის, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით – 430,944.45 ლარის შესყიდვა. აღნიშნულ პერიოდში გამოცხადდა 125 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის, უარყოფითი შედეგით დასრულდა – ერთი, არ შედგა – 14, შეწყდა – 2.

შეუსაბამო შესყიდვის საშუალების გამოყენება

-) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადება სავალდებულოა. ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მისი პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.¹¹ ხელშეკრულება შემსყიდველმა ორგანიზაციამ სიტემაში უნდა ატვირთოს მისი დადებიდან არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში.¹²
-) გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისათვის. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან.¹³

შესამოწმებელ პერიოდში კლინიკურმა ცენტრმა 17 მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მონეტარული ზღვრების დაცვის გარეშე, შეუსაბამო შესყიდვის საშუალების გამოყენებით, შეიძინა 291,284.68 ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, გამოვლინდა ორი სახის შეუსაბამო ფაქტობრივი გარემოება:

¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1¹ პუნქტი.

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები.

¹³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს¹ ქვეპუნქტი და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

ხელშეკრულების გაფორმების ან მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილებების გარეშე მიმწოდებლისგან შესყიდულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი მოცულობის საქონელი/მომსახურება:

- 2015-2016 წლებში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერების¹⁴ საფუძველზე, შპს „ავერსი-გეოფარმთან“ ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმდა 370,546.00 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები.¹⁵ მოქმედ ხელშეკრულებაში ყოველგვარი ცვლილებების/დამატებითი შეთანხმების ან ახალი ხელშეკრულების დადების გარეშე კლინიკურმა ცენტრმა შპს „ავერსი-გეოფარმისაგან“ შეიძინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის მედიკამენტი, ღირებულებით – 118,417.00 ლარი. მოცემულ შემთხვევაში მედიკამენტების ერთეულის ფასები აღემატებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, იმავე დასახელების მედიკამენტების ფასებს, რის შედეგად ზედმეტად გადახდილმა თანხამ 5,002.95 ლარი შეადგინა;

ცხრილი N2. ხელშეკრულების გაფორმების გარეშე შესყიდული მედიკამენტების ღირებულება

N	მედიკამენტის დასახელება	ერთ. სახელშეკრულებო ღირ-ბა	ერთ. ხელშეკრულების გარეშე შესყიდვის ღირ-ბა	რაოდენობა	სულ სახელშეკრულებო ღირ-ბა	გადახდილი თანხა	სხვაობა	სხვაობა %-ში
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ამტასი 5 მგ N20	3.63	4.11	20	72.6	82.2	9.6	13%
2	ანალგინი ამპ. 50% N10	1.29	1.41	130	167.7	183.3	15.6	9%
3	ასპარკამი ტაბ. 0.35გ N50	0.56	0.65	40	22.4	26	3.6	16%
4	დიგოქსინი ამპ. 0.25მგ/მლ 2 ამპ.	14.08	18.77	10	140.8	187.7	46.9	33%
5	დიმედროლი ამპ. 1%1მლ N10	0.77	0.84	150	115.5	126	10.5	9%
6	ეუფილინი ამპ. 2.4% 5მლ N10	1.00	1.15	75	75	86.25	11.25	15%
7	კაპტოპრილი 25მგ N200	3.3	4.11	4	13.2	16.44	3.24	25%
8	კეტამო 30მგ/1მლ	6.58	14	35	230.3	490	259.7	113%
9	ლიდოკაინი – ამპ. 2% 2მლ N10	0.72	0.81	80	57.6	64.8	7.2	13%
10	ოფლოტასი – 2მგ/მლ 100მლ	5.78	7.79	320	1,849.6	2,492.8	643.2	35%
	ჯამი:			864	2,744.70	3,755.49	1,010.79	28%

- 2018 წელს კომპიუტერული ტომოგრაფიის მომსახურების შესასყიდად ჩატარებული ელექტრონული ტენდერის¹⁶ საფუძველზე, კლინიკურ ცენტრსა და შპს „ნუგ მედს“ შორის გაფორმდა 110,400.00 ლარის ხელშეკრულება. ფაქტობრივად კლინიკურმა ცენტრმა შეიძინა 142,330.00 ლარის მომსახურება. ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, პირდაპირი მოლაპარაკების გზით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით, შეძენილ იქნა 31,930.00 ლარის ღირებულების მომსახურება.

¹⁴ SPA140029547 და SPA150031796.

¹⁵ კლინიკურ ცენტრსა და შპს „ავერსი-ფარმას“ შორის 2015 წლის 5 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ Nტ-01 და კლინიკურ ცენტრსა და შპს „ავერსი-ფარმას“ შორის 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული, ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ Nტ-05.

¹⁶ NAT170014914.

ხელშეკრულების გაფორმების ან მოქმედ ხელშეკრულებაში ცვლილების გარეშე მიმწოდებლისგან შესყიდულია მასთან გამარტივებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი მოცულობის საქონელი/მომსახურება:

- 2015 წელს ბეჭდვის მომსახურების შესაძენად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კლინიკურ ცენტრსა და შპს „ქუთაისის N6 სტამბას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება,¹⁷ ღირებულებით – 4,500.00 ლარი. ფაქტობრივად შეძენილ იქნა 5,272.00 ლარის ღირებულების მომსახურება;
- ფიზიკური პირისაგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ნაცვლად ხელშეკრულებით¹⁸ გათვალისწინებული 4,500.00 ლარისა, შესყიდულ იქნა 9,926.00 ლარის ღირებულების თეთრეულის რეცხვის მომსახურება;
- 2018 წელს ფიზიკური პირისაგან ქსოვილის ნივთების შესაძენად, გამარტივებული შესყიდვის¹⁹ წესით გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 4,500.00 ლარი, ფაქტობრივად კი შეძენილ იქნა 5,300.00 ლარის საქონელი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრის მხრიდან გამოყენებულ იქნა შეუსაბამო შესყიდვის (გამარტივებული შესყიდვის) საშუალება ვინაიდან შესყიდვის საგნის ღირებულება აღემატებოდა გამარტივებული შესყიდვისათვის დადგენილ მონეტარულ ზღვარს (5000 ლარს) და შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რაც უზრუნველყოფდა ფულადი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2015-2018 წლებში კლინიკურმა ცენტრმა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე არ ატვირთა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული 62,670.20 ლარის ღირებულების 24 ხელშეკრულება. ასე მაგალითად, შესამოწმებელ პერიოდში, კონსოლიდირებული ტენდერის გზით შეძენილი საწვავის გარდა, კლინიკურმა ცენტრმა დამატებით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, სხვადასხვა მომწოდებლისაგან შეისყიდა 10,888.90 ლარის ღირებულების 4,572.00 ლიტრი საწვავი, რა დროსაც დაფიქსირდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად საქონლის შესყიდვის შემთხვევები.

დასკვნა

შეუსაბამო შესყიდვის საშუალების (გამარტივებული შესყიდვა) გამოყენებით, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, 17 მომწოდებლისგან შეძენილ იქნა 291,284.68 ლარის ღირებულების საქონელი/მომსახურება. ამასთანავე, კლინიკურმა ცენტრმა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე არ ატვირთა გამარტივებული წესით გაფორმებული 62,670.20 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 24 ხელშეკრულება, რითაც შეიზღუდა შესყიდვის საშუალებების შერჩევისათვის კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაცვაზე მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ყოველივე აღნიშნულმა გაზარდა საჯარო

¹⁷ CMR150063128.

¹⁸ CMR150130785.

¹⁹ CMR180182509, CMR180107987.

სახსრების არარაციონალური და არაეკონომიური ხარჯვის რისკები, რაც გამოვლინდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად საქონლის/მოსახურების შესყიდვის ფაქტებში.

საოპერაციო მობილური რენტგენის აპარატის შესყიდვის ნაკლოვანებები

2012 წელს სს „ა. მოწენიძის სახელობის იმერეთის სამხარეო კლინიკურმა საავადმყოფომ“ კლინიკურ ცენტრს მოვლა-შენახვის პირობით²⁰ გადასცა საკუთრებაში არსებული საოპერაციო მობილური რენტგენის (ეოპის) აპარატი.²¹ აპარატის შენახვის ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან მომწოდებლის მოთხოვნის დღემდე პერიოდი. აპარატის დაბრუნების მოთხოვნით, საავადმყოფოს კლინიკური ცენტრისთვის არ მიუმართავს, ის დღემდე განთავსებულია კლინიკური ცენტრის კუთვნილ ფართში და გამოიყენება სამედიცინო დანიშნულებით. კლინიკური ცენტრი აღნიშნულ აპარატს ხელშეკრულების პირობის (მას აპარატი გადაცემული ჰქონდა მოვლა-შენახვის უფლებით) შეუსაბამოდ, უსასყიდლოდ იყენებდა ეკონომიკურ საქმიანობაში.

2015 წელს კლინიკურმა ცენტრმა შესყიდვის წინ ბაზრის კვლევის განხორციელების გარეშე, საოპერაციო მობილური რენტგენის აპარატის შესაძენად გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი,²² სავარაუდო ღირებულებით – 55,000.00 ლარი. ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, შესასყიდი ობიექტის მახასიათებლები სრულად შეესაბამებოდა კლინიკური ცენტრის სარგებლობაში არსებულ სს „ა. მოწენიძის სახელობის იმერეთის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოსგან“ გადმოცემული რენტგენის აპარატის პარამეტრებს. კონკურენციის არარსებობის პირობებში, ტენდერში გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა,²³ რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 49,940.00 ლარი და რომელსაც, შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე არსებული ინფორმაციით, აღნიშნული პროფილით საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნდა. ფიზიკურმა პირმა კლინიკას მიაწოდა საავადმყოფოს მიერ კლინიკური ცენტრისთვის გადაცემული და მის სარგებლობაში არსებული აპარატი. აღსანიშნავია, რომ კლინიკურ ცენტრსა და საავადმყოფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, არცერთ მხარეს არ ჰქონდა უფლება გადაეცა თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირისთვის, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მიუხედავად ამისა, ნივთის მესაკუთრის იდენტიფიცირების მიზნით, გამსხვივებლის კეთილსინდისიერების დასადგენად,²⁴ კლინიკურ ცენტრს საავადმყოფოსთვის არ მიუმართავს და არც მომწოდებლისგან მოუთხოვია საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

კლინიკურმა ცენტრმა ტენდერში გამარჯვებულ ფიზიკურ პირს გადაუხადა მხოლოდ 30,000.00 ლარი. უფლებამოსილი პირის განმარტებით, თანხა არასრულად იქნა გადახდილი, ვინაიდან ცენტრის ხელმძღვანელობისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი,

²⁰ კლინიკურ ცენტრსა და საავადმყოფოს შორის გაფორმებული 2012 წლის 21 ნოემბრის N11-06 ხელშეკრულება.

²¹ მახასიათებლები: EverView 7500 C-ram, X-Ray imaging System operator hanval.

²² SPA150025305.

²³ კ.კ.

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი.

რომ ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური იძიებდა სახელმწიფო ქონების, მათ შორის, მოცემული აპარატის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ფაქტს.

დასკვნა

შესყიდვის საგნის სპეციფიკაციის კონკრეტულ მოდელზე მორგებით შეიქმნა უკონკურენტო გარემო, რამაც განაპირობა ტენდერში მონაწილე ერთადერთი, სავარაუდო ღირებულების ტოლი სატენდერო წინადადების წარმომდგენი პირის გამარჯვება. აღნიშნული ოპერაცია შეიცავს ფიქტიური გარიგების ნიშნებს და საჭიროებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამატებით მოკვლევას.

დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია

პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს.²⁵

ამასთანავე, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა.²⁶

2016 წლის 21 სექტემბერს, კლინიკურმა ცენტრმა, სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი,²⁷ სავარაუდო ღირებულებით – 165,000.00 ლარი. შესყიდვის საგანი შედგებოდა 13 სხვადასხვა დასახელების საქონლისგან.²⁸ სატენდერო პირობების მიხედვით, პრეტენდენტების მიმართ ჩამოყალიბდა – შესყიდვის გამოცხადების თარიღამდე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2011-2015 წწ.), ყოველწლიურად არანაკლებ 200,000.00 ლარის სამედიცინო აპარატურის მიწოდების გამოცდილების მოთხოვნა. ამასთანავე, შესყიდვის განხორციელების წინ ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა. აქედან გამომდინარე, გაურკვეველია რას ეფუძნებოდა სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და ამ სახით გამოცდილების მიმართ მოთხოვნის ჩამოყალიბება.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა კომპანიამ, შპს „ეი-ბი ემ“-მა და შპს „პი ემ ჯი“-მ, რომელთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საბოლოო ფასები, შესაბამისად, შეადგენდა 164,000.00 ლარს და 154,000.00 ლარს.

²⁵ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 4 აპრილის ბრძანება N9, მუხლი N13.

²⁶ „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9, მუხლი N12.

²⁷ NAT160002176.

²⁸ ზოგადი ქირურგიული ინსტრუმენტების ნაკრები, პორტატული ავტომატური ანალიზატორი, საოპერაციო მაგიდა და ა.შ.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, უმცირესი ფასის სატენდერო წინადადების მქონე კომპანია შპს „პი ემ ჯი“ დისკვალიფიკაციას დაექვემდებარა იმ საფუძველით, რომ „მის მიერ ატვირთულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ხარჯთაღრიცხვაში) არ იყო მითითებული აპარატურის მოდელი და შესასყიდი საქონლის სპეციფიკაციები უცვლელად იყო გადატანილი სატენდერო დოკუმენტაციიდან.“

ვინაიდან, სატენდერო დოკუმენტაციით არ იყო მოთხოვნილი შესასყიდი საქონლის მოდელის შესახებ ინფორმაციის მითითება, დისკვალიფიკაციის საფუძველი არ არსებობდა.

ამის შემდეგ, სატენდერო კომისიის მიერ განხილულ იქნა მეორე კომპანიის შპს „ეი ბი ემ“-ის სატენდერო წინადადება, რომლის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში ასევე არ იყო მითითებული ინფორმაცია კონკრეტული მოდელის შესახებ, თუმცა კომისიამ მას დისკვალიფიკაცია მისცა არა ამ საფუძველით, არამედ იმის გამო, რომ ვერ დაადასტურა სატენდერო პირობებით მოთხოვნილი 2011-2012 წლების გამოცდილება. საბოლოოდ, სატენდერო კომისიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულება.

2016 წლის პირველ ნოემბერს, აღნიშნული საქონლის შესყიდვის მიზნით, კვლავ გამოცხადდა ტენდერი.²⁹ ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაცია და სავარაუდო ღირებულება თითქმის იგივე დარჩა, რაც პირველ შემთხვევაში. შეიცვალა მხოლოდ მოთხოვნა გამოცდილების ნაწილში და ჩამოყალიბდა იმგვარად,³⁰ რომ ამ კუთხით შპს „ეი ბი ემ“-ის დისკვალიფიკაციის საფუძველი აღარ არსებობდა. ტენდერში მხოლოდ შპს „ეი ბი ემ“-მა მიიღო მონაწილეობა და უკონკურენტო პირობებში გაიმარჯვა სატენდერო წინადადებით, რომლის ღირებულება მიახლოებული იყო შესყიდვის საგნის სავარაუდო ღირებულებასთან და შეადგენდა 163,500.00 ლარს.

დასკვნა

კლინიკური ცენტრის მხრიდან უმცირესი ფასის სატენდერო წინადადების წარმომდგენი პრეტენდენტის არასამართლიანმა დისკვალიფიკაციამ და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიზანმიმართულმა კორექტირებამ შექმნა საჯარო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკები.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N3.

- ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებულ და დანერგილ იქნეს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო

²⁹ SPA160027464.

³⁰ მონაწილე პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა ბოლო 3 წლის გამოცდილება სამედიცინო აპარატურის მიწოდებასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2013–დან 2015 წლების ჩათვლით ყოველწლიურად სხვადასხვა ორგანიზაციისათვის წელიწადში, მინიმუმ, 200 ათასი ლარის ღირებულების სამედიცინო მოწყობილობების მიწოდების გამოცდილება.

შესყიდვებში მონაწილე პირთა მიმართ სამართლიან, არადისკრიმინაციულ და თანაბარ მიდგომას;

- შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის და მასზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხრიდან მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ატვირთვა.

აქტივების მართვა

დანაკლისები

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმო/ორგანიზაცია ახდენს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა სამეურნეო წლის ბოლოს.³¹

2015-2018 წლებში კლინიკური ცენტრის მიერ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. პარტნიორის მხრიდან აღნიშნული ნორმატიული მოთხოვნის დაცვაზე კონტროლი არ განხორციელებულა, მხოლოდ 2014 წლის 7 თებერვალს გამოიცა ბრძანება,³² რომლითაც სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს დაევალით 2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. კლინიკური ცენტრის მიერ აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულებულა და არც პარტნიორის მხრიდან განხორციელებულა მის მიერ გამოცემული ბრძანების მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი რეაგირება. აუდიტის ჯგუფმა შერჩევით განახორციელა საინვენტარო უწყისებში არსებული აქტივების ადგილზე დათვალიერება და გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებები:

- აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი 12 ერთეული ძირითადი აქტივი,³³ ნარჩენი ღირებულებით – 2,265.00 ლარი, ასევე ადგილზე არ აღმოჩნდა რენტგენის აპარატი TURDF-19, საწყისი ღირებულებით – 4,420.00 ლარი;
- სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის N385-ე დადგენილებით, დაწესებულებაში სამედიცინო აპარატურა არ უნდა იყოს გამოშვებული 1998 წელზე ადრე,³⁴ თუმცა, კლინიკური ცენტრის სამედიცინო აპარატურის დათვალიერებით აღმოჩნდა 2 ერთეული 1983 წელს გამოშვებული, საბჭოთა წარმოების,

³¹ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 06 თებერვლის N70 ბრძანებულების მე-13 მუხლი და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

³² ბრძანება (N1/1-219).

³³ (მათ შორის: ლეპტოპი, მობილური ტელეფონი, ციფრული აპარატი, ტელევიზორი).

³⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი.

რენტგენის პორტატული აპარატი 12Π5, რომელიც გამოიყენება პაციენტების მომსახურებისას.

დასკვნა

აქტივების არსებობის დადასტურების მიზნით ინვენტარიზაციის, როგორც კანონმდებლობით სავალდებულო ეფექტური კონტროლის მექანიზმის გამოუყენებლობით და ამ პროცესზე პარტნიორის მხრიდან მონიტორინგის (ზედამხედველობის) მექანიზმების არარსებობით, გაიზარდა კლინიკური ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების დატაცების და არამიზნობრივად განკარგვის რისკები, რაც დასტურდება 2,265.00 ლარის ნარჩენი და 4,420.00 ლარის პირვანდელი ღირებულების ძირითადი აქტივების დანაკლისით.

კლინიკურ ცენტრს და პარტნიორს

რეკომენდაცია N4.

აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობის და მათ დაცულობაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და დაინერგოს ეფექტური კონტროლის საშუალებები – სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩათვლით. ამასთანავე, გამოვლენილი აქტივების დანაკლისების მიხედვით დადგინდეს მატერიალური პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სარგებლობის უფლებით გაცემული უძრავი ქონება

შესამოწმებელ პერიოდში კლინიკური ცენტრი, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, იჯარით გასცემდა არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს, მიწის ნაკვეთს და სამედიცინო დანიშნულების მქონე ფართებს. აღნიშნულ პერიოდში მოქმედებდა სხვადასხვა სუბიექტთან გაფორმებული 18 საიჯარო ხელშეკრულება. გარკვეულ შემთხვევებში, კლინიკური ცენტრის მიერ აუქციონის მომზადების ეტაპს თან ახლდა შემდეგი ნაკლოვანებები:

მოცემულ პერიოდში, ერთსა და იმავე მისამართზე, ერთი და იმავე აუდიტორული ფირმის მიერ, აუქციონისთვის შეფასებული ქონების ღირებულება განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო ღირებულების საბოლოო ფორმირებასა და კლინიკური ცენტრის მიერ მისაღებ შემოსავლებზე. კერძოდ, 2015 წელს, აუდიტორული შეფასების³⁵ შესაბამისად, კლინიკური ცენტრის ადმინისტრაციულ კორპუსში, 1 კვ.მ-ის საიჯარო ქირა განისაზღვრა 7,1 ლარის ოდენობით, ხოლო მომდევნო

³⁵ 2015 წლის 08 ოქტომბრის N02/144 აუდიტორული დასკვნა.

წელს, იმავე აუდიტორის შეფასებით, ხელშეკრულებაში შესული ცვლილების შედეგად, შემცირდა 6,25 ლარამდე.³⁶ 2016 წელს, აუდიტორული დასკვნის³⁷ მიხედვით, იმავე შენობაში მდებარე ფართის 1 კვ.მ-ის საიჯარო ღირებულება განისაზღვრა 3.0 ლარით, ხოლო 2018 წელს მომზადებული აუდიტორული დასკვნით,³⁸ სახურავზე არსებული 15 კვ.მ-ის წლიური საიჯარო ღირებულება განისაზღვრა 6,000.00 ლარის ოდენობით, ანუ თვეში 1 კვ.მ-ის საიჯარო ქირამ შეადგინა 33.33 ლარი.

ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მიმდებარე ტერიტორია და კლინიკური ცენტრის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება პოტენციური მოიჯარეებისათვის ნაკლებად მიმზიდველია, რაც უკონკურენტო პირობებში გამართული აუქციონებითაც დასტურდება. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადეკვატური და დასაბუთებული საწყისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, თუმცა, აუდიტორულ დასკვნებში არ იკვეთებოდა შესაბამისი პროფესიული მსჯელობა საიჯარო ფართების საბაზრო ღირებულების დადგენისას გამოყენებული მეთოდოლოგიისა და გაანგარიშებების შესახებ. აუდიტორის ინფორმაციით, საბაზრო ღირებულების დადგენა ხდებოდა მოიჯარის ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით. ამრიგად, არსებობს საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის რისკები.

კლინიკურ ცენტრში არ იყო დანერგილი უძრავი ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული პროცესების ზედამხედველობისა და კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რამაც განაპირობა შესაბამისი შემოსავლის მიუღებლობა:

– ადმინისტრაციული კორპუსის მე-4 სართულზე მდებარე 431,66 კვ.მ ფართის იჯარის წესით გაცემის მიზნით გამოცხადებული აუქციონის³⁹ საწყისი სავაჭრო ფასი განისაზღვრა აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეფასებულ ღირებულებაზე ნაკლები თანხით. კერძოდ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 1 კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 3.0 ლარად, შესაბამისად, სააუქციონო ვაჭრობა უნდა დაწყებულიყო 1,295.00 ლარიდან, თუმცა, აუქციონი გამოცხადდა არასწორი საწყისი ფასით – 1,200.00 ლარი. ორი ბიჯის შედეგად, სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 1,440.00 ლარი. აქედან გამომდინარე, შესამოწმებელ პერიოდში კლინიკურმა ცენტრმა ვერ მიიღო 3,762.00 ლარის შემოსავალი.⁴⁰

– 2013 წელს, აუქციონის შედეგად, ი/მ მამუკი ნიქაბაძეს თვეში 41.16 ლარად (1 კვ.მ-ის ღირებულება – 0.84 თეთრი) იჯარით გადაეცა კლინიკური ცენტრის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში (01.04.2013 – 31.12.2015 წწ.), მოიჯარემ კლინიკურ ცენტრთან შეუთანხმებლად, ნებართვის გარეშე ააშენა კომერციული დანიშნულების 49.0 კვ.მ ფართის მქონე შენობა-ნაგებობა. საიჯარო ვადის გასვლის შემდგომ, 2016 წელს, მიწაზე არსებული კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობის გათვალისწინების გარეშე, ზემოაღნიშნული ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, გამოცხადდა საჯარო აუქციონი, რომელშიც უკონკურენტო პირობებში ისევ გაიმარჯვა ი/მ მამუკი ნიქაბაძემ. სახელშეკრულებო ღირებულებამ თვიურად 44.0 ლარი შეადგინა (1კვ.მ-ის ფასი – 0.90 ლარი). არც შეფასების და არც ხელშეკრულების დადების ეტაპზე, შემფასებელი აუდიტორისა და არც კლინიკური

³⁶ ღირებულების შემცირებით მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 550.00 ლარი.

³⁷ 2016 წლის 11 თებერვლის N02/37 აუდიტორული დასკვნა.

³⁸ 2018 წლის 17 აგვისტოს N02/175 აუდიტორული დასკვნა.

³⁹ 2016 წლის 03 სექტემბრის აუქციონის N35682, ლოტის N279913.

⁴⁰ სრულ სახელშეკრულებო პერიოდზე (24.03.2016 – 24.03.2021 წწ.) მიუღებელი შემოსავალი შეადგენს 6,840 ლარს.

ცენტრის მიერ არ იყო გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი – კომერციული დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობა (49.0 კვ.მ), რომელიც პოტენციურად მოიჯარის ძირითადი დაინტერესების საგანს წარმოადგენდა. ამრიგად, კლინიკური ცენტრის მიერ იჯარით გაცემული ფართის, ყველაზე დაბალი საიჯარო ქირის – 3.0 ლარის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობის გაუთვალისწინებლობით, აუდიტით მოცულ პერიოდში მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა – 5,346.00 ლარი.⁴¹

დასკვნა

საწყისი საიჯარო ქირის არათანამიმდევრულად, საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატურად და აუქციონის გამოცხადების დროს მისი არასწორად (შეცდომით) განსაზღვრის შედეგად, მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 9,658.00 ლარი.

კლინიკურ ცენტრს

რეკომენდაცია N5.

ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფო ქონების რაციონალური გამოყენების და ადეკვატური ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით:

- არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლების გზით, სასყიდლიან სარგებლობაში ქონების გადაცემა განხორციელდეს საბაზრო პირობების შესაბამისად განსაზღვრული საფასურის საფუძველზე;
- საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მოიჯარის მიერ უნებართვოდ აშენებულ შენობა-ნაგებობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილ იქნეს არსებული ფაქტობრივი გარემოების, შესაბამის სამოქალაქო სამართლებრივ ფორმაში მოქცევა.

⁴¹ $49 \times 3 = 147$, დამატებული სააუქციონო ბიჯის 10% – 15 ლარი = $147 + 15 = 162$ ლარი, მთელ სახელშეკრულებო პერიოდზე (36 თვე).

საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შეუსაბამოები მოგების გადასახადის დეკლარაციასა და სააღრიცხვო მონაცემებს შორის

საგადასახადო ორგანოში წარდგენილი 2015 და 2016 წლების მოგების გადასახადის დეკლარაციების მონაცემები არ შეესაბამებოდა საწარმოს იმავე პერიოდში განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების შედეგებს, კერძოდ, 2015 წლის დეკლარაციაში ერთობლივი შემოსავალი ასახული იყო 4,553,196.00 ლარის ოდენობით, პარტნიორთან გადაგზავნილი მოგება-ზარალის წლიური ანგარიშგების მიხედვით, მთლიანი შემოსავალი აღირიცხა 4,241,165.00 ლარის ოდენობით, ხოლო სააღრიცხვო ჩანაწერების მიხედვით, ის შეადგენდა 4,342,711.43 ლარს. 2016 წლის დეკლარაციაში და პარტნიორთან გადაგზავნილ მოგება-ზარალის წლიურ ანგარიშგებაში შემოსავალი აღირიცხა – 4,551,481.00 ლარის ოდენობით, თუმცა, საბუღალტრო მონაცემებით ის შეადგენდა 4,613,452.30 ლარს.

არადეკლარირებული მოგების გადასახადი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁴² მოგების გადასახადის გადახდისგან თავისუფლდება სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც ხმარდება დაწესებულების რეაბილიტაციას და ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში კლინიკური ცენტრის შემოსავალს სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა, შეადგენდა სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემიდან და სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებაში გადახდილი თანხებიდან მიღებული შემოსავლები – 71,114.00 ლარი. ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ 2015-2016 წლებში კლინიკური ცენტრის საქმიანობა იყო მომგებიანი,⁴³ სხვა თანაბარ პირობებში, მიღებული შემოსავალი ფაქტობრივად იყო დასაბეგრი მოგება და ექვემდებარებოდა მოგების გადასახადით დაბეგვრას,⁴⁴ რაც იმ დროისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით, დაახლოებით, 10,667.10 ლარს⁴⁵ შეადგენს.

დაუბეგრავი შემოსავლები

2015-2018 წლებში დირექტორის ბრძანებების⁴⁶ საფუძველზე, სხვადასხვა ადმინისტრაციული და სამეურნეო დავალების შესასრულებლად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, კლინიკური ცენტრის თანამშრომლებზე, მიღება-ჩაბარების აქტებით გაიცა

⁴² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის „რ“ ქვეპუნქტი (2017 წლამდე მოქმედი რედაქციით).

⁴³ წმინდა მოგება: 2015 წელი – 848,354.62 ლარი, 2016 წელი – 991,663.98 ლარი.

⁴⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: 71,114.00 X 15 / 100.

⁴⁵ ვინაიდან სას-ის მანდატი და აუდიტის მასშტაბი არ ითვალისწინებს გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მართებულობის/სისწორის შემოწმებას/შეფასებას, ანგარიშში ჩვენ მიერ გამოთვლილი გადასახადის თანხები დაანგარიშებულია ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს საორიენტაციო მარეგულირებელს, რადგან არ არის გათვალისწინებული სხვა შესაფერისი შემოსავლები და ხარჯები და მათი კუმულაციური გავლენა და ურთიერთქმედება შესაბამის გადასახადებზე.

⁴⁶ კლინიკური ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის N79, 2016 წლის 04 იანვრის N1/2^ა, 2017 წლის 03 იანვრის N1/1^ა და 2018 წლის 03 იანვრის N1/39^ა ბრძანებები.

11,362.96 ლარის 6,297 ლიტრი საწვავის ტალონი. მოქმედი კანონმდებლობით,⁴⁷ საწვავის ხარჯის გამოსაქვითად აუცილებელი პირობაა სააღრიცხვო დოკუმენტაციის არსებობა, რომელიც დაადასტურებს შეძენილი და გახარჯული საწვავის შესაბამისი ძირითადი საშუალების მიერ მოხმარებისა ან/და ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ფაქტებს, თუმცა, თანამშრომლებთან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ ფიქსირდებოდა ინფორმაცია საწვავის გაცემის მიზნობრიობისა და ავტომობილების (საკუთრების, სახელმწიფო ნომრის, მოდელის და ა.შ.) შესახებ. ამდენად, აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მიწოდებული შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა გაცემული საწვავის კლინიკური ცენტრის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ფაქტები. შესაბამისად, თანამშრომლებზე გაცემული საწვავის ტალონები მათთვის იყო ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი (სარგებელი) და ექვემდებარებოდა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას.

დასკვნა

2015-2016 წლებში საწარმოს მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციები შეიცავს არასწორ მონაცემებს. ამასთანავე, რიგი სამეურნეო ოპერაციები არ არის აღრიცხული მისი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით (საწვავების გადაცემა), არსებობს ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადის თანხების შემცირების რისკი, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას შესაბამისი უფლებამოსილების ორგანოს – შემოსავლების სამსახურის მიერ.

ფინანსური ანგარიშგება

სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელთაც საფუძვლად არ უდევს განხორციელებული ეკონომიკური მოვლენის ფაქტი.

2015 წლის ბალანსში გაუნაწილებელი მოგების, მიმდინარე ვალდებულებების და გადასახდელი დივიდენდების საბოლოო ნაშთები შეადგენდა შესაბამისად: 317,849.00 ლარს, 112,844.00 ლარს და 70,334.00 ლარს. 2016 წლის ბალანსში, საწყისი ნაშთები დაკორექტირდა ფინანსური ანგარიშგების სათანადო საფუძვლების მოთხოვნათა დაუცველად, რომელსაც შედეგად არ ედო ეკონომიკური მოვლენის განხორციელების ფაქტი. მიმდინარე ვალდებულებების და გადასახდელი დივიდენდების ნაშთების შემცირების ხარჯზე, გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გაიზარდა 140,334.00 ლარით⁴⁸ და მოცემული საანგარიშგებო პერიოდის ბალანსში დაფიქსირდა გაუნაწილებელი მოგების – 458,183.00 ლარის, მიმდინარე ვალდებულებების – 42,844.00 ლარის, ხოლო გადასახდელი დივიდენდების – ნულოვანი საწყისი ნაშთები. 2017 წლის ივნისში კლინიკურმა ცენტრმა, ბალანსზე რიცხული გაუნაწილებელი (აკუმულირებული) მოგების რეინვესტირების მოთხოვნით, წერილით⁴⁹ მიმართა

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-3 და მე-4 მუხლები.

⁴⁸ გადასახდელი დივიდენდები – 70,334.00 ლარი; სულ მიმდინარე ვალდებულებები – 70,000.00 ლარი.

⁴⁹ კლინიკური ცენტრის 2017 წლის 07 ივნისის N1/58 წერილი.

პარტნიორს, სადაც აღნიშნული იყო, რომ 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმების შედეგად, კომპანიის მოგება დაზუსტდა და 1,077,204.00 ლარის ნაცვლად შეადგინა 1,217,538.00 ლარი (140,334.00 ლარით მეტი. აღნიშნული 2016 წლის ნაშთების კორექტირების შედეგია), თუმცა, არც წერილში, არც აუდიტორის დასკვნაში და არც ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ იყო ახსნილი, თუ რის საფუძველზე განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები.

შეუსაბამობები სააღრიცხვო მონაცემებს შორის

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემები არსებითად განსხვავდება სააღრიცხვო რეგისტრების მონაცემებისაგან. ბუღალტრული გატარებებისა და ბრუნვითი უწყისების ფინანსური ანგარიშგებების მონაცემებთან შედარებით, გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

ბალანსი

შემცირებულადაა წარმოდგენილი საბალანსე ანგარიშების 2018 წლის საბოლოო ნაშთები: მოკლევადიანი მოთხოვნები – 215,564.29 ლარით, სასაქონლო-მატერიალური მარაგები – 94,892.00 ლარით და ძირითადი საშუალებები – 697,153.39 ლარით. რაც შეეხება მოკლევადიანი ვალდებულებების საბოლოო ნაშთს, ის 88,708.81 ლარითაა გაზრდილი.

ცხრილი N 3. სხვაობა სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ბალანსში ასახულ საწყის ნაშთებს შორის

2015				
ანგ. N	დასახელება	საბალანსო ნაშთი	სააღრიცხვო ნაშთი	სხვაობა (4-3)
1	2	3	4	5
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	1,143,867.00	1,535,445.69	391,578.69
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	280,473.00	327,348.28	46,875.28
2100	ძირითადი საშუალებები	3,379,739.00	3,425,478.69	45,739.69
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები	979,377.00	1,103,023.96	123,646.96
2016				
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	1,538,159.80	1,917,505.52	379,345.72
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	260,009.00	413,883.15	153,874.15
2100	ძირითადი საშუალებები	3,602,642.00	3,793,008.24	190,366.24
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები	938,295.80	1,008,183.69	69,887.89
2017				
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	1,417,250.13	1,781,151.08	363,900.95
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	907,272.00	677,001.63	-230,270.37
2100	ძირითადი საშუალებები	3,602,642.00	4,539,896.81	937,254.81
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები	938,295.80	932,353.54	-5,942.26
2018				
1400	მოკლევადიანი მოთხოვნები	1,622,838.00	1,838,402.29	215,564.29
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	627,169.00	722,061.00	94,892.00
2100	ძირითადი საშუალებები	4,126,137.00	4,823,290.39	697,153.39
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები	930,262.00	841,553.19	-88,708.81

მოგება-ზარალის ანგარიშგება

შესამოწმებელ პერიოდში ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები შემცირებულია 170,678.27 ლარით, ხოლო მთლიანი ხარჯები გაზრდილია 86,607.54 ლარით. შესაბამისად, გაუნაწილებელი მოგება შემცირებულია 96,350.60 ლარით, კერძოდ:

ცხრილი N 4. სხვაობა სააღრიცხვო ჩანაწერებსა და მოგება-ზარალის უწყისში ასახულ ინფორმაციას შორის

2015			
ოპერაცია	მონაც. ბაზაში ასახული მონაცემი	სააღრიცხვო მონაცემი	სხვაობა (3-2)
1	2	3	4
სულ შემოსავლები	4,241,165.00	4,342,711.43	101,546.43
სულ ხარჯები	3,733,644.00	3,494,356.81	-239,287.19
მოგება-ზარალი	507,521.00	848,354.62	340,833.62
2016			
სულ შემოსავლები	4,551,481.00	4,613,452.30	61,971.30
სულ ხარჯები	3,792,125.72	3,621,788.32	-170,337.40
მოგება-ზარალი	759,355.28	991,663.98	232,308.70
2017			
სულ შემოსავლები	4,430,664.00	4,437,824.54	7,160.54
სულ ხარჯები	3,609,050.00	4,006,394.72	397,344.72
მოგება-ზარალი	821,614.00	431,429.82	-390,184.18
2018			
სულ შემოსავლები	3,724,478.00	3,724,478.00	0.00
სულ ხარჯები	3,759,154.38	3,845,761.92	86,607.54
მოგება-ზარალი	-34,676.38	-121,283.92	-86,607.54
ჯამი:			
სულ შემოსავლები	16,947,788.00	17,118,466.27	170,678.27
სულ ხარჯები	14,893,974.10	14,968,301.77	74,327.67
მოგება-ზარალი	2,053,813.90	2,150,164.50	96,350.60

2016-2017 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი კლინიკური ცენტრის ინციატივით ჩაატარა აუდიტორულმა კომპანიამ შპს „აუდიტ სერვისცენტრმა“. გაცემული აუდიტორული დასკვნების⁵⁰ მიხედვით, „კლინიკური ცენტრის ფინანსური ანგარიშგებები უტყუარია და ყველა არსებით ასპექტში ასახავს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობას ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის“. მოცემული დასკვნის ადეკვატურობა ექვსი ქვეშ დგება, ვინაიდან ზემოაღნიშნული შეუსაბამოების გათვალისწინებით, მაღალია რისკი იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს შეცდომით ან თაღლითობის შედეგად წარმომოხილ არსებით უზუსტობებს.

⁵⁰ შპს „აუდიტ სერვისცენტრის“ 2017 წლის 06 იანვრის N02/28 და 2018 წლის 07 მაისის N01/110 აუდიტორული დასკვნები.

დასკვნა

კლინიკური ცენტრის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერების მანიპულირებით შეიქმნა გადასახდელი დივიდენდების სახით სახელმწიფოს წინაშე არსებული და სხვა მიმდინარე დავალიანების შემცირების საფუძველი და ხელოვნურად გაიზარდა გაუნაწილებელი მოგება. ამასთანავე, გაიზარდა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით, პარტნიორის განზრახ შეცდომაში შეყვანის რისკები.

კლინიკურ ცენტრსა და პარტნიორს

რეკომენდაცია N6.

შესწორდეს ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული უზუსტობები. დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, რათა ბუღალტრული ოპერაციების აღრიცხვა, ასევე ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ხელმოწერა

ალექსანდრე ასათიანი
უფროსი აუდიტორი



ირაკლი დალაქიშვილი
აუდიტორი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38